



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 1 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №101/20
ყოფილი მოსამართლეების, ---, --- და --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2020 წლის 16 სექტემბერს №-- საჩივრით მომართა --- და მოითხოვა, ყოფილი მოსამართლეების ---, --- და --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, ---, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, ---, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, --- გათავისუფლდნენ მოსამართლის თანამდებობიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ ---, --- და --- აღარ ახორციელებენ სამოსამართლო უფლებამოსილებას, ისინი არ წარმოადგენენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლეების მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს ---, --- და ---, როგორც მოსამართლეების მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ არ განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება.
2. ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ არ განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება.
3. ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ არ განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი